



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კიში



მ. კიშის ქართულ  
შრიოფტა ანაბეჭდი,  
ამსტერდამი, 1687.

კიში (Kiss) ტოტფალუში მიკლოშ (1650, ქ. ნადბანე, – 20. III. 1702, კოლონიარი), უნგრელი მბეჭდავი, ასოთმქანდაკებელი, მესტამბე, თეოლოგი. კ-მა ქ. ნადბანეს კალვინისტურ სკოლაში შეისწავლა ფილოლოგია და გაიარა თეოლოგიის კურსი. ქ. ფოგარაშში XVII ს. 70-იანი წლების ბოლოს ეწეოდა თეოლ. მოღვაწეობას. 1680 გაემგზავრა კოლანდიაში სასტამბო საქმის შესასწავლად. მან წარმატებით შეისწავლა შრიოფტის ჩამოსხმის ხელოვნების მიმართ და მალევე გაითქვა სახელი. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარია უნგრელი ე. წ. „ოქროს ბიბლია“.

კ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის ბეჭდვის, ასევე ქართველი და უნგრელი ხალხების კულტ. ურთიერთობის ისტორიაში. 1684 არჩილ II-მ შვედი დიპლომატისა და

მეცნიერის ი. გ. შპარვენფელდის მეშვეობით კ-ს დაუკვეთა ქართ. სასტამბო შრიოფტი. ერთ წელიწადში კ-მა ამსტერდამში გამოაქანდაკა ქართ. ანბანის სამივე სახეობა (ასომთავრული, ნუსხური და მხედრული) და დაამზადა შესაბამისი მატრიცები.

საქართველოში სტამბის მოწყობისა და ქართ. წიგნის ბეჭდვის დაწყების ეს პირველი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., მიკლოშ კიში ტოტფალუში და ქართული სტამბა, ობ., 1982.

